ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №03-16/22

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 1 მარტი 2019 წელი

ერთის მხრივ სსიპ პროფესიული კოლეჯი „ბლექსი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი გოგიტიძის სახით (შემდგომში – „შემსყიდველი“) და მეორის მხრივ შპს ,,ციტადელი“ , წარმოდგენილი მისი დირექტორის გრიგოლ ქურცაძის სახით (შემდგომში – „მიმწოდებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად საკუთარი შემოსავლებით ფანერების (CPV - **44191100** - ფირფიცარი) (შემდგომში საქონელი) მიწოდებას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით (იხ. დანართი N1).

2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **82** (ოთხმოცდა ორი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

2.3. ანგარიშსწორება განხორციელდება გადარიცხვის ფორმით, ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე.

2.4 ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

2.5. ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის ხელმოწერდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

3. საქონლის მიღება-ჩაბარება

3.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას განახორციელებს კოლეჯის მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ჭანკურიძე.

3.2. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისი ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1 საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. ბათუმი, გენ.ა. აბაშიძის შესახვევი #2.

4.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება 2019 წლის 1 მარტიდან 2019 წლის 5 მარტამდე.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი;

5.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონელი 4.2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში.

6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლი

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების კონტროლს შესრულების ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს საქონლის მიმღები პირი.

6.2. კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით – საქონლის მიწოდების პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ, მიღება-ჩაბარებისას.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ვალდებულების შესრულებისგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების/დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

8.5 მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებით აცნობოს მეორე მხარეს.

8.6 ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. სადავო საკითხების გადაწყვეტა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ნებისმიერი დავა გადაიჭრება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილი არიან მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 აპრილამდე.

11. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

პროფესიული კოლეჯი "ბლექსი"

ქალაქი ბათუმი, ლერმონტოვის ქ.N84

ს/ნ 245610398
ხაზინის ერთიანი ანგარიში,
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური
მფო: TRESGE22
ანგარიშის N709247286

დირექტორი

გიორგი ბოგვერაძე

მიმწოდებელი:

შპს „ციტადელი"

ქ. თბილისი ვაკე-საბურთალოს რაიონი, დიდი დიღომი, დ.თავდადებულის ქ#16 ბ.50

ს/ნ 404924285

სს „საქართველოს ბანკი"
მფო: BAGAGE 22
ანგარიშის N: GE51BG 00000000 366 43 000

დირექტორი

გრიგოლ ქურცაძე

1.03.2019 წლის #03-16/22 ხელშეკრულების დანართი №1

№	დასახელება	კლასიფიკაციის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ
1	ფანერა 1525*1525 (3 მმ)	44191100	ცალი	2	18,00	36,00
2	ფანერა 1525*1525 (4 მმ)		ცალი	2	23,00	46,00
						82,00

დირექტორი /გ.გოგიტიძე/ დირექტორი: /გრიგოლ ქურცაძე/

245610398